საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთიულეთის აჯანყება 1804

მთიულეთის აჯანყება 1804, საერთო-სახალხო აჯანყება რუსული ჯარის განსადევნად და ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. რუსული კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი (წინააღმდეგობის) მოძრაობის ნაწილი. აღმ. საქართვ. რუსეთთან შეერთების (1801) შემდეგ, საქართველოს სამხ. გზის გასწვრივ მცხოვრებ მთიულებს რთული დრო დაუდგათ. მთავრობა მათ გზის შეკეთებას, ამ გზაზე მომავალი რუსის ჯარისთვის ტრანსპორტისა და სურსათის მიწოდებას ავალებდა. ჯარის შენახვა და მათი სამსახური სულ უფრო აუტანელი ხდებოდა. ამას ემატებოდა მოხელეთა თვითნებობა და უსამართლობა. 1804 დასაწყისში ჩრდ. კავკასიიდან („ლინიიდან“) ერევანზე სალაშქროდ გაგზავნილი ჯარის გადმოსვლისას მთიულეთის გზისპირის მოსახლეობა სახლებიდან გამორეკეს და აუტანელ სიცივეში სტეფანწმინდიდან ანანურამდე გზის გაწმენდა-შეკეთება დაავალეს. ცარიზმის მოხელეები სასტიკად ექცეოდნენ მოსახლეობას, აწიოკებდნენ ოჯახებს, გაწეული სამუშაოებისათვის გასამრჯელოს არ უხდიდნენ. 1804 მაისში, როცა პ. ციციანოვი ერევანზე სალაშქროდ გაემგზავრა, მთიულეთში აჯანყებამ იფეთქა. აჯანყების მთავარი საბაბი გახდა მთიულების ჯარში გაწვევა. აჯანყებული მთიულები პირველად თავს დაესხნენ კაიშაურის საგუშაგოს და 17 კაცისგან შემდგარი რაზმი გაწყვიტეს. ამის შემდეგ აჯანყებულთა ნაწილი ანანურსა და დუშეთს შემოერტყა, ნაწილი კი ხევისკენ გაეშურა, რათა ხელთ ეგდო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი - სტეფანწმინდა. მაიორ გაბრიელ ყაზბეგის გავლენით ხევის ზოგი სოფელი მათ არ მიემხრო. ამბოხებულებმა მოციქულები დაგზავნეს ქართლის მთიანეთში და ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდეს. მთიულებს მიემხრნენ გუდამაყრის, ჭართლის, ხანდოს, ფშავ-ხევსურეთისა და თრუსოს მცხოვრებნი. აჯანყებულებმა მოციქულები გაუგზავნეს იმერეთში მყოფ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს და თანამონაწილეობა სთხოვეს. ამბოხებულთა თავკაცები იყვნენ შიო ბურდული, ლევან ნაზღაიძე, თათარა ჩქარეული, ნინია ბედიანიძე, ნინია და ომანა ბედოიძენი, პაპუნა ჩობოლაური და საბუკა

ამირიძე.

აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოვიდნენ ქსნისა და არაგვის ერისთავები, რ-თაც რუსეთის იმპერატორმა დაუბრუნა ერეკლე II-ის მიერ ჩამორთმეული ყმა-მამულები. ივნისში იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები, რ-თა მიზანი გაუქმებული სამეფო ხელისუფლების აღდგენა იყო, იმერეთიდან ქართლში გადავიდნენ და აჯანყებულებთან შეერთებას ცდილობდნენ, თუმცა ვერ მოახერხეს და კვლავ იმერეთში გაბრუნდნენ. 24 ივნ. ბატონიშვილებს ულევის ეწერში თავს დაესხა რუსთა რაზმი, რ-საც თავადი გიორგი ამირეჯიბი მეგზურობდა. შეიპყრეს იულონ ბატონიშვილი, ხოლო ფარნაოზ და ლევან ბატონიშვილები ბამბაკს გადავიდნენ. 3 აგვისტოს ლომისასთან მოხდა ძლიერი შეტაკება, რ-იც აჯანყებულთა გამარჯვებით დამთავრდა. ხელისუფლებისა და ქსნის ერისთავის ჯარებმა პოზიციები დატოვეს. აჯანყებულებმა ლომისა აიღეს. ამის შემდეგ აჯანყება ქსნის ხეობასაც მოედო, სადაც გლეხები დაერივნენ თავიანთ მებატონეებს და მათი კარმიდამო აიკლეს. 20 აგვისტოს ამბოხებულებმა დუშეთში დაწვეს ყაზარმა. სექტ-ში მთიულეთში ჩავიდა ფარნაოზ ბატონიშვილი, რ-საც მხარი დაუჭირა კახელ თავადთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა. სექტ-ში პ. ციციანოვი ერევნის წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ თბილისში დაბრუნდა. რუსეთიდან გამოგზავნეს დამატებითი ჯარები. ოქტ. დასაწყისში აჯანყებულებს ყოველი მხრიდან შეუტიეს. ბრძოლას თვითონ გენ. პ. ციციანოვი ხელმძღვანელობდა. მ. ა-ის ჩახშობის შემდეგ იგი ჯარით ლიახვის ხეობაში შევიდა აჯანყებულ ოსთა დასამორჩილებლად. მ. ა-ის მონაწილეებს სასტიკად გაუსწორდნენ - ციციანოვის ბრძანებით შეიქმნა საიდუმლო საგამოძიებო კომისია, დააპატიმრეს 300-ზე მეტი კაცი, რ-თა უმრავლესობა ციმბირში გადაასახლეს ან ჩამოახრჩვეს, ფარნაოზ და იულონ ბატონიშვილები კი შეიპყრეს და რუსეთში გადაასახლეს.

წყარო: დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თბ., 1941; თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია,ლ. მიქიაშვილის გამოც., თბ.;1983;

ლიტ.: კ ი კ ვ ი ძ ე ა., საქართველოს ისტორია (1801_1890 წწ.), თბ., 1977; მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., მთიულეთი, ტფ., 1930; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ტ ო გ ო ნ ი ძ ე ვ., ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1804 წ.), თბ., 1961. ფ რ ო ნ ე ლ ი ა., მთიულეთის აჯანყება 1804; ტფ., 1896;

ჯ. გვასალია